“ოპერაცია - ძმები ნოდიები”!

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 24 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) - “ზენიტი” (ლენინგრადი) - 4:0 (0:0).

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, კუტივაძე, ილიადი, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

“ზენიტი”: ვაიდა (შაპოვალენკო), ბულავინი, ნაუმოვი, ლოხოვი, იუმაკულოვი, სადირინი, იზვეკოვი (პეტროვი), ვიუნი, ბურჩალკინი, გონჩაროვი, უმანოვი.

მსაჯი: ვ. რუდნევი (მოსკოვი).

დუბლიორები - 1:0 “დინამოს” სასარგებლოდ.

ტაიმი - 0, ტაიმი - 4! ორი ასეთი დიამეტრალურად განსხვავებული ტაიმის მომსწრე გახდა თბილისელი მაყურებელი გუშინწინ “ლოკომოტივის” სტადიონზე. არავითარი საერთო ერთმანეთთან თამაშის ამ ორ ნახევარს არ ჰქონდა. თითქოს მათ შორის 15-წუთიანი შესვენება კი არ იყო, არამედ განუზომლად უფრო მეტი დრო.

გაუგებარია, რატომ დაიწყეს თბილისელებმა თამაში მომლოდინე გუნდის როლში. არავითარი აზარტი, ტემპი. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ ნელა, აუჩქარებლად, დუნედ. ყოველ სათამაშო ეპიზოდში ბურთთან პირველნი ლენინგრადელები იყვნენ, ხოლო შემდეგ, უკვე პასიურ როლში - დინამოელები. 20 წუთი ისე გავიდა, რომ “ზენიტის” კართან არ მომხდარა რაიმე ღირსშესანიშნავი ამბავი, გარდა ხურცილავას მძლავრი დარტყმისა. რამდენიმეჯერ სცადა “აფეთქება” მეტრეველმა, მაგრამ მას პერსონალურ დარაჯად ჰყავდა მიჩენილი ლოხოვი, რომელიც უცერემონიოდ ნადირობდა ჯერ მეტრეველის ფეხებზე და მხოლოდ ამის მერე - ბურთზე. მართალია, ყოველი ასეთი დაუშვებელი შეჯახების შემდეგ ლოხოვი “ჯენტლმენურად” იხდიდა ბოდიშს მეტრეველისა და მსაჯის წინაშე, მაგრამ თავის დავალებას თბილისელთა მთავარი ფორვარდის ნეიტრალიზებისთვის ტაქტიკური ფოლის საშუალებით, იგი “კეთილსინდისიერად” ასრულებდა. ვ. რუდნევი ყოველი ასეთი ინციდენტისას მცველის მკაცრ გაფრთხილებას შემდგომი შემთხვევებისთვის დებდა და ამის გამო “დინამოს” წინა ხაზს მთლიანად გამოაკლდა თავისი წარმმართველი ძალა.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ იყო დინამოელთა მიერ ცუდად ჩატარებული პირველი 45 წუთის მთავარი მიზეზი. ძირითადი დამნაშავე უხეირო ტაიმისა იყო ნახევარდაცვა. კუტივაძის მიმართ პრეტენზიები ნაკლებად გვაქვს, იგი ასე თუ ისე ცდილობდა მოეწესრიგებინა თამაში მინდვრის შუაგულში. მას ვერაფრით ვერ აუბეს მხარი ასათიანმა და ილიადიმ. პირველი ხშირად კარგავდა ბურთს დრიბლინგის დროსაც და გადაცემებისასაც. მეორე კი როგორღაც ჩრდილში იყო მოქცეული და არ ფიქრობდა რამდენადმე მაინც გამოეჩინა აქტიურობა.

როგორც კი იგრძნეს ზენიტელებმა, რომ უპირატესობა ჰქონდათ მინდვრის ცენტრალურ ზონაში, მაშინვე გააძლიერეს შეტევა და თავდამსხმელებს მიაშველეს ვიუნი და სადირინი. დინამოელთა ყოველი ცდა იერიშის გაშლისა უშედეგოდ მთავრდებოდა. ლენინგრადელები კი დაცვასა და ნახევარდაცვაში მაქსიმალურად აქტიურობდნენ. ამავე დროს, კონტრშეტევასაც სწრაფად ახორციელებდნენ.

ერთი სიტყვით, თანდათან ისახებოდა “კაირატთან” ნათამაშები მატჩისა და დაკარგული ქულის კონტურები. რის ვაინაჩრობით დავამთავრეთ პირველი ტაიმი.

სულ სხვა ამბები მოხდა შესვენების შემდეგ. ჩვენი გუნდი ვნახეთ ისეთი, როგორის იმედიც გვაქვს წლეულს, როცა მთავარი ბრძოლები დაიწყება უშუალოდ საპრიზო ადგილებისა და მედლებისთვის.

ტონი ნახევარდაცვას მისცა ასათიანმა. საკმარისი გახდა მისი რამდენიმე რეიდი ბურთის სწრაფი გათამაშებით, ილიადის კომბინაციური ურთიერთმოქმედება გ. და ლ. ნოდიებთან, ხურცილავასა და კუტივაძის ჩარევა საიერიშო კომბინაციებში, საერთო ტემპის მომატება, და “ზენიტის” საქმე წამსვე უიმედო შეიქნა. ნახევარმცველებმა ხელ-ფეხი გაუხსნეს ძმებს ნოდიებს, რომელთა მონაწილეობით მაყურებელმა ნახა ნამდვილი თანამედროვე ფეხბურთის დონეზე შესრულებული რამდენიმე საუკეთესო ეპიზოდი.

“ძმები ნოდიების ოპერაციის” პირველი ნაყოფი იყო 62-ე წუთზე გატანილი გოლი. ლევანმა მარცხნიდან მიაწოდა ბურთი, გივიმ იგი მიიღო კარის წინ და გახსნა ანგარიში - 1:0.

70-ე წუთზე კუტივაძემ მარჯვენა ფლანგიდან დაარტყა კარის გასწვრივ, მეკარე ვაიდა წამით შეფერხდა და ლ. ნოდიამ მას არავითარი შანსი არ დაუტოვა მდგომარეობის სახსნელად - 2:0.

ლენინგრადელთა კარი განუწყვეტელი შტურმის წინაშე აღმოჩნდა. ერთ-ერთი იერიშისას ილიადისგან მიღებული ბურთი ლ. ნოდიამ ზუსტად გადასცა გ. ნოდიას და “ზენიტის” კარში მესამე გოლი აღმოჩნდა.

და ბოლოს, 85-ე წუთზე კუტივაძემ შორიდან ისეთი სიძლიერით დაარტყა, რომ შაპოვალენკო სახტად შერჩა ყუმბარისებურად მქროლ ბურთს. მას კი არა ჰქონდა უფლება უყურადღებოდ ყოფილიყო, ვინაიდან სულ ცოტა ხნის წინ ძლივს შეძლო მოეგერიებინა კუტივაძის მიერ ზუსტად იმავე მანძილიდან ასევე ძლიერი დარტყმა. მეორე ტაიმი “დინამოს” პოტენციურ შესაძლებლობათა ნათელი დემონსტრაცია იყო.

ბ. ქორქია.

“ლელო”, 26 ივნისი, 1969 წ.